



3700, რუსთავი,
ბოსტანქალაქის ქ. №3
ტელ. (0341) 24-18-98
ელ-ფოსტა
rvaliuni@gmail.com

3700, rustavi,
Bostankalaki str. №3,
Tel. (0341) 24-18-98
e-mail:
rvaliuni@gmail.com



EUROPEAN QUALITY

შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №27

2017 წლის 5 აგვისტო
ქალაქი რუსთავი

შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში“ იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც გაიარეს 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრატის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/5 ბრძანების, სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით;
2. აბიტურიენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდა სასწავლო უნივერსიტეტის მომსახურე საბანკო დაწესებულებაში) გავლის შემდეგ აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე:
 - ა) განათლების ფაკულტეტი;
 - ბ) ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ფაკულტეტი;
 - გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

3. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
- გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი);
- დ) ფოტოსურათი 3 ცალი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია;
- ე) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ ანგარიშზე:

შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“
ს/კ 204872931

პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ფილიალი

საბანკო ანგარიში: GE90PC0303600100015135

ბანკის კოდი: 220101922

თიბისი ბანკი TBC BANK

საბანკო ანგარიში: GE 11TB02079360801100001

ბანკის კოდი: TBCBGE22

4. აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით;

5. 2017 -2018 სასწავლო წელი დაიწყოს 2017 წლის 18 სექტემბრეს და წარიმართოს დამტკიცებული აკადემიური კალენდარის შესაბამისად.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი :



გულქან ქმოსტელი